ტფილისი

№ 182 მარიამობისთვე 27, კვირა 1889 მარიამობისთვე 27, კვირა № 182

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

თ. იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი და მეუღლე მისი ელენე მიხეილის ასული ანდრონიკაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი სიმამრისა და მეორე მამისა თვისისას—სამხედრო საბჭოს წევრის, გენერალ-ლეიტენანტის მიხეილ გრიგოლის ძის ჟურჟიძისას. პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 27 მარიამობისთვეს, ნაშუადღევის პირველს საათზედ და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს გამოასვენებენ კორპუსის ეკკლესიაში ორშაბათს, 28 მარიამობისთვეს, დილის 9 საათზედ, ანდრონიკაშვილის სახლიდამ, № 100.

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებით სადგურში, მეტეხოვის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის" ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—6)

### რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

სასწავლებელთან არის პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება, როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანვე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით, როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირვებათ.

სასწავლებლის მმართველი
ს. ბ. ჯორჯიკია

19 აგვისტოს 1889 წ. (5—4)

### «ტფილისის სოაარანია»

სამშაბათს, 29 მარიამობისთვეს, ქართულის თეატრის არტისტები წარმოადგენენ:

I

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი 2 მოქმედ., გადმოკ. თ. რ. ერისთავისაგან.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

კომედია-ვოდევილი 1 მოქმედებად თ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენნი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, ნებიერიძე და სხვ.

დასაწყისი 9 საათზე

### დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება

ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი ლიტერატურული კრებული:

## „ცდა"

გამოცემული ალ. გარსევანიშვილის მიერ.

ფასი 50 კაპ.

ვისაც სურს სტატიის დაბეჭდვა შემდეგს კრებულში, უნდა გამოგზავნოს ხელთ-ნაწერი ქუთაისში ამ ადრესით: Дворянское училище, Алек. Гарсеванову. (5—1)

ტფილისი, 26 მარიამობისთვე

ოც-და-ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის კავკასიამ იარაღი დაჰყარა. ამ დღეს გამოეცხადა რუსეთის მთავარ-სარდალს დაღისტნის სახელოვანი გმირი შამილი და გადასცა თავისი ხმალი.

ორმოცის წლის განმავლობაში მამაცურად ეპყრა ეს ხმალი მრისხანე დაღისტნის კლდეების შვილს.

დიდებულსა და საოცარს სურათს წარმოადგენს ამ რაინდის უთანასწორო ბრძოლა: ერთის მხრით ძლიერი რუსეთის მხედრობა იყო და მეორეს მხრით-კი—ერთი მუჭა ველური ჯარი, რომელსაც წინ უძღოდა გაუნათლებელი მამილი!

თვით რუსეთის მწერლობამ საგმაოდ დააფასა უმაღლესი სამხედრო ნიჭი ამ მხედართ-მთავრისა; დააფასა აგრეთვე მედგარი და თავგანწირული ბრძოლა ლეკებისა... ისტორია არც-კი წარმოგვიდგენს მეორე მსგავსს მაგალითს, სადაც ასეთის თავ-გამოდებით ეომას პატარა ერს, ისეთს ძლიერს მტერთან, როგორიც რუსეთი იყო მისთვის.

მაგრამ ჩვენ ამ საგანს არ ვფიქრობთ შევეხოთ ეხლა. ჩვენ გვსურს განვმარტოთ მხოლოდ ქართველის ერის დამოკიდებულება დაღისტნის ბრძოლაში რუსეთთან და ის, თუ რა-ნაირი ურთიერთობა უნდა არსებობდეს შემდეგში ჩვენსა და დაპყრობილ ერთა შორის.

დღეს დამშვიდებულს ქვეყნებს, რასაკვირველია, კარგად ახსოვთ, თუ რა დიდი მონაწილეობა მიიღო საქართველოს ერმა იმათ დასაპყრობად.

ხალხი კარგათ იცნობდა მაშინდელ მეომარ ქართველებს, და ძნელად დასაჯერებელია, რომ რაოდენიმე ნაწილი მაშინდელის სიძულვილისა დღესაც არ დარჩენილიყოს. და მართლაც, დიდის ხნით გაცნობილი დაღისტნის ბუნებასთან, მდებარეობასა და ლეკთა ზნე-ჩვეულებასთან—ქართველობა ძვირფასი და შეუდარებელი ძალა იყო... ეს ჩინებულად ეს-

---

# ფელეტონი

## საიქიოს ამბავი

(იოსებ ყამიაშვილის ნაამბობი სოფ. ჩარგალში და ჩაწერილი თ. რ—ლის მიერ)

ახალი ცხენი ვიყიდე,
ახლად ამდგარი ჯანზედა..
კაცმა რო სიტყვა ამოსთქვას,
უნდა რამ იყოს წარზედა *)

იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი მდიდარი კაცი. როდესაც კვდებოდა, დაუძახა თავის სამს ვაჟს და უთხრა: „შვილებო, ეს არის ვკვდები, მე კარგს სხვას აღარას მოველი, თქვენ-კი ჯერ ახალ-გაზრდები ხართ და ბედსაც შეესწრობით. თქვენ ცოლების შართვაზე ნურც შეიწუხებთ და ნურც ეძებთ საცოლეებს. აიღეთ, თითო ისარი გაისროლეთ, გაჰყევით უკან სადაც და დაეცემიან, თქვენც იქ მიდით, წამოიღეთ ისრები და ქალები უკან გამოგყვებიანო". მოკვდა მამა. შვილებმა იგლოვეს და იტირეს. როდესაც გამოიგლოვეს მამის სიკვდილი, ძმებმა სთქვეს: „ეხლა-კი დროა ცოლები შევირთოთო". ჩადო ისარი უფროსმა ძმამ მშვილდში და გასტყორცნა. ისარი წავიდა და ერთის ხელმწიფის ბანზედ დაერჭო. გაჰყვა უფროსი ძმა, მოიტანა ისარიც და ხელმწიფის ქალიც წამოიყვანა... გასტყორცა ისარი საშუალმა ძმამ. ისარი წავიდა და ნაზირის ბანზედ დაერჭო. მივიდა ვაჟი, წამოიღო ისარი და წამოიყვანა ნაზირის ქალი. გასტყორცნა ახლა უმცროსმა და ისარი ჭაობში კი ჩაერჭო. მიჰყვა ისარს უმცროსი ძმა, მივიდა ჭაობში, ამოაძრო ისარი და წამოიღო. ისარს ერთი ბაყაყი გამოჰყვა. უმცროსი ძმა ამოჰკრავდა წიხლს ბაყაყს, გადააგორებდა, უნდოდა როგორმე მოეშორებინა, მაგრამ ვერ იშორებდა ბაყაყს. ბოლოს რომ ვერა და ვერ მოიშორა, უთხრა: „რა გინდა ჩემგან, ბაყაყო, გამშორდი, დამანებე თავიო!" „რას გიშლი შენაო, უპასუხა ბაყაყმა: მე თითონ წამოვალ. დავიჯერო ერთი იმოდენა ადგილი არსადა გაქვს სახლის კუნჭულში, რომ მე დავეტიო". „იქნება ბედი ამას მიწერდესო", სთქვა ვაჟმა და წაიყვანა ბაყაყი.

მივიდა შინ უმცროსი ძმა და მიიყვანა ბაყაყიც. „რა ლამაზი ცოლი გყავს, უთუოდ ხელმწიფე შეგეცილება, არ შეგარჩენსო", დასცინოდნენ ძმები და რძლები. როდესაც სადილზე დასხდებოდნენ, ბაყაყს გარეთ გააგდებდნენ. ბოლოს გამოაგდეს უმცროსი ძმაცა და იმისი ბაყაყიც სახლიდგან. უმცროსი ძმა ცალკე იდგა. დილისით სანადიროდ წავიდოდა, ბაყაყს შინა სტოვებდა და საღამოზედ შინ დაბრუნდებოდა ხოლმე. ბაყაყი ვაჟის წასვლაზედ გაიხდიდა ბაყაყის ტყავს და ისეთი ქალი გამოჩნდებოდა, რომ მზესავით გაანათებდა. დაჰგვიდა სახლს, დაალაგებდა ჯამ-ჭურჭელს, მოუმზადებდა საჭმელს და მერე ისევ ბაყაყის ტყავს ჩაიცვამდა და წამოჯდებოდა ცეცხლა პირას. დაბრუნდებოდა ვაჟი სახლში, ჰნახავდა დაგვილ-დაწმენდილს სახლს, დარეცხილ-გარაკრაკებულს ჯამ-ჭურჭელს, მომზადებულს საჭმელს, ეგონებოდა, რძლები უვლიან ჩემს სახლსაო, წავიდოდა და ეტყოდა ძმა-რძლებს: „თუ ეგრე გიყვარდით და გებრალებით ეხლაც, რომ მოდიხართ და უვლით ჩემს სახლს, რაღა გამომაგდეთ სახლიდგანაო. „რასა ყბედობ, რას მიედებ-მოედები, ვისა აქვს შენი ჯავრი, გასწი, დაი კარგე აქედამაო", ეტყოდნენ ძმა-რძლები და გამოაგდებდნენ.

ერთხელ ვაჟმა სთქვა: „ეს რძლები უარს არიან, ჩვენ არ ვუვლით შენს სახლსაო, და მოდი ერთი ვუყარაულებ, იქნება ვნახო ვინ არის ის ჩემი ყურის მგდებელიო". ბაყაყს უთხრა, რომ მე სანადიროდ წავალო, გამოვიდა და იქვე დაიმალა. როდესაც ქალმა გაიგულა ვაჟი, გაიძრო ბაყაყის ტყავი და დატრიალდა ჯარასავით. იმას ხელი არაფრისათვის არ უხლია, ყველაფერი თავად მომზადდა. შემოვარდა ვაჟიც, დაიჭირა ქალი და დაუწყო კოცნა. ბაყაყის ტყავი ცეცხლთან ეგდო, მოავლო ვაჟმა ხელი დასაწველად, მაგრამ ქალმა დაიჭირა და შეეხვეწა: „შენი ჭირიმე, ნუ დამიწვავ მაგ ტყავს, თორემ ინანებო", მაგრამ ვაჟს ვერაფერი შეასმინა.

მალე გავარდა ბაყაყის ქალის სილამაზის სახელი და მივიდა ხელმწიფესთანაც. ხელმწიფე მიზეზს ეძებდა, როგორმე წაერთმია ვაჟისათვის ის ქალი. ხელმწიფეს ერთი ბებერი ჰყავდა და იმან უთხრა: მე გიშოვი იმ ქალსაო. შენ რომ ათასის დღის ხოდაბუნი გაქვს, დაიბარე იმ ქალის ქმარი, და თუ ერთს დღეს მოგიხნავს, ხომ რა იქნება, მაგრამ ხომ იცი, ის ერთს დღეს ვერ მოხნავს, და თუ ვერ მოხნა, წაართვი ცოლიო. დაიბარა ხელმწიფემ ბაყაყის ქალის ქმარი და უთხრა: „მე ათის დღის ხოდაბუნი მაქვს, თუ იმას ერთს დღეს მომიხნავ, ხომ რა კარგი, თუ ვერა მომიხნავ და ცოლს წაგართმევო". დაღონდა ძალიან ვაჟი: ათასის დღის ხოდაბუნი როგორ უნდა მოეხნა, დავთესო და დავფარცხოვო. მოვიდა ცოლთან და შესჩივლა. „აკი გითხარ, ნუ დამიწვავ ტყავს, თორემ ინანებმეთქი, უთხრა ქალმა: ეხლა რაღა ვქნათ: მაინც ნუ იჯავრებ, წადი და საიდგანაც მე მომიყვანე, იქ ჩასძახე: „თქვენმა ქალმა შემოგითვალათ, ჩვენ რომ ულელი ხარი გვყავს, ნიშა და ნიკორა, ის გამომიგზავნეთო". წავიდა ვაჟი, ჩასძახა ისე, როგორც ქალმა დაიბარა. მოსცეს ულელი ხარი, ნიშა და ნიკორა, და წამოიყვანა შინ. შეაბა გუთანში და დაუწყო ხვნა ხოდაბუნს. ხარები თითო დღიურის ოდენა კვალს ისროდნენ და არღვევდნენ მიწის გულს. სამხრობამდის მოარჩა ვაჟი სახნავს, დასთესა და დასაფარცხი-ღა ჰქონდა, რომ დაიძინა. ვაჟს დიდხანს ეძინა. მზეს ერთი შუბის ტარი-ღა ჰქონდა ჩასავალი, ხარებმა შეჰხედეს მზეს და უთხრეს ერთმანეთს: „უნდა რამ ვუშველოთ ჩვენს პატრონს, მეტი ღონე არ არისო". ნიშამ უთხრა ნიკორას: „შენ დაიყვირე, რაც ძალი და ღონე გაქვს, რომ ვაჟმა გამოიღვიძოს, მე მზეს კუდს შემოვკრავ და სასადილოში მივაყენებო". დაიყვირა ნიკორამ და გაალვიძა პატრონი, შემოჰკრა ნიშამ კუდი მზეს და სასადილოში მიაყენა. ადგა ვაჟი და დაუწყო ფარცხვა. მორჩა ფარცხვას და ჩავიდა მზეც. ხელმწიფემ კაცი გაგზავნა სანახავად, რა ჰქნა, მოხნა, თუ ვერაო. მოვიდა კაცი და მოახსენა ხელმწიფეს, რომ ხოდაბუნები სულ დაუბზარია და დაუფარია კიდეცაო.

დაიბარა ხელმწიფემ საჩქაროდ თავისი ბებერი და უთხრა: „ეხლა რაღა ვქნათ, რომ შენი წამალი უვარგისი გამოდგაო". ბებერმა მოახსენა ხელმწიფეს: «შენ იმას შეუკვეთე, რომ ის რაც დაუთესია, ისე აკრიფოს, რომ ერთი მარცვალი არ დააკლდესო». დაიბარა ბაყაყის ქალის ქმარი ხელმწიფემ და უბრძანა, რომ, რაც მარცვალი დაგითესნია, თუ ისევ ისე არ აჰკრიფე, რომ ერთი აღარ დარჩა, შენი ცოლი მე დამრჩებაო». მოვიდა დაღონებული ვაჟი ცოლთან და შესჩივლა. ცოლმა უთხრა: „წადი იქ, საიდამაც მე მომიყვანე, და ჩასძახე: თქვენმა ქალმა დაგიბარათ, ეგ ერთი ყუთი რომ გაქვთ, ეგ გამომიგზავნეთო. მაგრამ ის ყუთი არამც-და-არამც გზაზე არ გახსნა, თორემ შენც დაი-

*) ასე დაიწყო ამ ზღაპრის მბობა იოსებ ყამიაშვილმა.

მოდა ესმოდათ ღლევებს ჩვენს მართებულობასაც...

მაგრამ მას შემდეგ თითქმის მესამედმა საუკუნემ განვლო, ქვეყანა დამშვიდდა, ომი მოისპო, და იმ დროისაგან მხოლოდ მოგონებადა დარჩენია ხალხს...

თუ საგანს პირდაპირ შევხედავთ და ჩვენის თავის მოტყუებას არ მოვინდომებთ, უნდა აღვიაროთ, რომ ქართველის სახელი ვერაფერს სასიამოვნო წარსულს მოაგონებს ჩვენს დაპყრობილს მეზობლებს. აქ არ ვეხებით იმას, თუ რამდენად სამართლიანი არის ეს გრძნობა ჩვენდამი. საკმაო არის ისიც, რომ ამ ჟამად არ ჰსუფევს ჩვენს შორის ის სასურველი ძმური დამოკიდებულება, რომელიც სანატრელია და საჭირო.

ქვეყნის წარმატება, მისი ზნეობითი, გონებითი და ნივთიერი განვითარება ისე არ მოხდება, თუ მახლობელი ერნი კარგად გაცნობილი არა გვყავთ, თუ თქვენსა და მათ შორის არ არსებობს კეთილი განწყობილება! დღევანდელი ცხოვრება ერთა ისეთ გვარად დაკავშირებულია ერთმანეთთან — ვაჭრობით, წარმოებით, შრომით, მიმოსვლით და განვითარებით, რომ, თუ ერთმა მეორეს ხელი შეუშალა, ვერასოდეს ვერც ერთი ხალხი ვერ მიაღწევს სასურველს წარმატებას.

წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე სამეცნიერო, ანუ სავაჭრო საქმე გაქვსთ ისეთს ქვეყანაში, სადაც იქაურს ხალხს არა აქვს თქვენი ნდობა. რა უნდა გააკეთოთ ამ შემთხვევაში?!. რაც უნდა ბეჯითი და სასარგებლო საქმე იყოს, ყოველთვის იმდენი დამაბრკოლებელი მიზეზი შეგხვდებათ, რომ უეჭველად უნაყოფოდ ჩაივლის თქვენი მეცადინეობა. ესევე ითქმის სხვა ტომის კაცზედ, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში უნდა იმოქმედოს.

ამიტომ საჭიროა გავიცნოთ ჩვენი მეზობლები, დავუახლოვდეთ და გავაგებინოთ ერთმანეთს ჭირი და ლხინი, მივახვედროთ, რომ ამიერიდგან ჩვენ ერთის ქვეყნის შვილები ვართ.

ამასთან ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავავიწყოთ ის სიძულვილი და მტრობა, რომელიც ოდესმე არსებობდა ჩვენს შორის ერთა შორის ცუდს გრძნობას ცუდი და მავნებელი შედეგი მოჰყვება ყოველთვის.

თუ რომელსამე ქვეყანას ჰსურს დაწინაურდეს და ამაღლდეს, უნდა შეიმოსოს ღმობიერებითა და სიყვარულით თავის მოძმისა და მახლობელისადმი. ისტორიულმა მიზეზებმა ჩვენ დღეს ყველანი გაგვასწორა, ყველანი ერთისა და იმავე სახელმწიფოს ფარველობისა და და ჭირისუფლობის ქვეშ მოგვათავსა. ეხლა ჩვენში სადავო აღარა არის-რა. წინად-კი სულ სხვა იყო, როდესაც დიდ-ძალი ნაწილი კავკასიის ახალგაზდობისა ომის მსხვერპლად უნდა შექმნილიყო და უნიჭიერესი თაობა ბრძოლაში გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს.

ეხლა ეს აღარ გვჭირია და სამწუხარო იქნება, თუ ქვეყნის დამშვიდებული მდგომარეობა ვერ გამოვიყენეთ. შავთა დროთ წარიღეს ძველი უსიამოვნება და მტრობა. ამიერიდგან სამარცხვინო საქმე იქნება, რომ ჩვენსა და კავკასიის ერთა შორის არ დაისკვნას ის ძმური კავშირი, რომელიც ორივესათვის ასე საჭიროა სამოქალაქო ცხოვრებაში.

გარედგან მოსვენებულს კავკასიას თამამად შეუძლიან სრულიად მიაპყრას თავისი ნიჭი და ღონე სწავლასა და განვითარებას. ჩვენს დროში მხოლოდ უმეცრება არის ხაშიშარი და იგივე უმეცრება უშლის ხალხს გაიგოს ნამდვილად საკუთარის ქვეყნის მოთხოვნილება და სარგებლობა.

უკანასკნელს ომში დიდ-ძალი ლეკის ჯარი დაეცა ქიზიყს და, რაც მოახელა, არა დაუზოგავს-რა. ამ ნაირი ქცევა ჩვენის მეზობლებისა ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენ ჯერ ერთმანეთის ამბავი კარგად არ ვიცით და არც არავის უცდია ჩაეგონებინა მათთვის, რომ თანხმობა და კარგი დამოკიდებულება ქართველ ერთან ერთი საუკეთესო საშუალებაა იმათის წარმატებისათვის. მხოლოდ თანხმობა მოგვცემს ღონეს განვითარებისთვის და, როდესაც ხალხი ამ გზას დაადგება, მაშინ იმისი ბედი უზრუნველია და საიმედო.

სამწუხაროდ, ქართულს მწერლობას სხვა დანაშაულობათა შორის ეს ერთი დიდი ცოდვაც აწევს: არაფერი არ გაუკეთებია კეთილის გრძნობის დასამკვიდრებლად ჩვენსა და ჩვენ მეზობლებ შორის.

იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგში მაინც არ იქნება დატოვებული უყურადღებოდ ეს საგანი.

ალცესტი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, პარასკევს, 25 აგვისტოს, შუადღის 6 საათზე, ჩვენს ქალაქს კვლავ ეწვია მისი უდიდებულესობა სპარსეთის მბრძანებელი ნასრედინ შაჰი. შაჰი საზღვარ-გარეთ ბძანდებოდა და ეხლა გზად გამოიარა ჩვენს ქალაქში, რომ თავისს საბრძანებელში წავიდეს. ტფილისის გუბერნიის საზღვარზე შაჰს მიეგება გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ა. ი. ჩაიკოვსკი, ქალაქის საზღვარზედ-კი პოლიცმეისტერი, სხვა წევრნი პოლიციისა და დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა. მთელის ქალაქის ქუჩები ამ დღეს შესაფერად იყო მორთული და სპარსეთისა და რუსეთის ბაირაღები იყო გამოკიდებული. სპარსეთის შაჰი მოსვლისთანავე გენერალ-ადიუტანტ პაპოვისა და ვიცე-გუბერნატორ ჩაიკოვსკითურთ მთავარ-მართებლის სასახლეში მიბძანდა. სასახლესთან შაჰს დაუხვდნენ მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი, ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ი. ს. ჩერნიავსკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თ. მაღალაშვილი თავად-აზნაურებითურთ, ტფილისის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ერნსტი, ქალაქის მოურავი მატინოვი გამგეობის წევრებისა და ხმოსნებითურთ, სპარსეთის ქვეშევრდომთა დეპუტაცია, ხელოსნები და სხ. სასახლესთან შაჰს მიართვეს ხელოსნებმა ხილითა და ყვავილებით სავსე ხონჩა. საღამოს $6^1/_4$ საათზედ დიდებული სტუმარი ავიდა სასახლეში და ზოგიერთს იქ მყოფს დაელაპარაკა კიდეც. საფრანგეთის კონსულს ბ-ნს დე-ლა-შორომს უთხრა, რომ დიდად ვისიამოვნე და ალტაცებაში მოვედი პარიჟში ნანახითაო. ხალხი კარგა დაღამებამდე სასახლესთან იდგა თავ-მოყრილი. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

*** გუშინ მისი უდიდებულესობა ნასრედინ შაჰი სამის ნახევრამდე არსად არ გამოსულა. 12 საათზე სასახლეში ჰქონდათ საუზმე და, თუმცა ნათქვამი იყო, რომ მის უდიდებულესობას უნდა ენახა კავკასიის გამოფენა, მაგრამ მერე-კი გამოფენის მაგიერად შაჰმა საბოტანიკო ბაღის დათვალიერება ინება. სწორედ სამის ნახევარზე მისი უდიდებულესობა გამობრძანდა სასახლიდგან და ეტლით წაბრძანდა ბაღში სოლოლაკისკენ, აუარა ამაღლების ეკკლესიას, კოჯორის საბაჟოსთან ჩამობრძანდა ეტლიდგან და ფეხით ინება ბაღში წაბრძანება. მისს უდიდებულესობას თან ახლდა კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი, პეტერბურგიდგან მოსული გენერალ-ადიუტანტი პაპოვი, ტფილისის გუბერნატორის თანაშემწე პ. ა. ჩაიკოვსკი, მთავარ-მართებელის ადიუტანტი თავადი ორბელიანი, ტფილისის პოლიციის უფროსი ბ-ნი როსსინსკი და თავისი ამალა. სოლოლაკიდგან კლდეზე გადავიდნენ და ჩავიდნენ სუყველანი ბაღში. აქ მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა ხეები, ჰგლიჯავდა ფოთლებს და სინჯავდა. აქედგან წაბრძანდა არანჟერეაში, სადაც ჩრდილში დაბრძანდა დასასვენებლად სკამზედ და ხილი მიართვეს ერთ საათზე მეტ ყოფნის შემდეგ ამ ბაღში გასინჯა აქაური მცენარეები და შემდეგ იქიდგანაც გამობრძანდა სასახლეში წამოსაბრძანებლად. როცა ქვემოდ ჩამოვიდა, შორიდგან გასინჯა კოშკი ქართველის მეფეების დროისა და თათრების სასაფლაო. ქვემო კარებთან ელოდნენ ეტლები მის უდიდებულესობას და იმის ამალას. აქვე კარებში მის უდიდებულესობის ადიუტანტმა მიიღო რამდენიმე თხოვნა მაჰმადიანებისაგან. შემდეგ მისი უდიდებულესობა ეტლში ჩაბრძანდა და სასახლეში წავიდა. ს ღამოს რვა საათზე მისი უდიდებულესობა აქაურის სპარსეთის ელჩის სასახლეში უნდა წაბრძანდეს მაჰმადიანთა დღესასწაულის გამო. იქვე იქნებიან მაჰმადიანთა სასულიერო წოდეის წარმომადგენელნი.

*** შაბათს, 26 მარიამობისთვეს, დილის შვიდს საათზე, ტფილისის მეტეხის ციხიდგან სამუშაოდ წაყვანის

---

ღუპები და მეც დამღუპაო". წავიდა ვაჟი, მივიდა ჰაოზში და ჩასძახა, თქვენმა ქალმა დაგიბარათ, ჩვენ რომ ერთი ყუთი გვქონდა, ის გამომიგზავნეთო. მისცეს ეს ყუთი, წამოიღო და წამოვიდა. გზაზედ მოაგონდა, მოდი ერთი გავხსნიო. ქალის სიტყვებიც მოაგონდა, მაგრამ ველარ მოითმინა და სახლის ღერეფანში რომ შევიდა, გახსნა. ამოვიდა ყუთიდამ შავი ჭიანჭველა, ამოვიდა, ამოვიდა, რომ სულ ბნელად დაიდო. დაესხა ვაჟს, გამოხრეს ძვლებიც-კი და იმ დროს გამოვიდა ქალი, რომ თავის გოხა-ლა დარჩენილიყო. შემოიკრა თავში ხელი, დაიწყო ტირილი და ვაება, მაგრამ მალე მოაგონდა, ამოიღო უკვდავების ხელსახოცი, გადააფარა გოხას და გააცოცხლა ვაჟი.

ადგა ვაჟი, მოისო თვალებზედ ხელი და სთქვა: „ოჰ რა ძალიანა მძინებია და რა ბევრიო". „ბევრი მაშინ გეძინებოდა, რომ მე არ შევსწრობოდიო, უთხრა ქალმა: აკი გითხარ, ნუ გახსნი გზაზედ ყუთს, თორემ თავსაც დაჰღუპავ და მეცა-მეთქი. მერომ რაღაც ბედად არ გამოვსულიყავ და არ მენახა, იმ თავის გოხასაც გამოჰხრავდნენ და მაშინ მე შენ ველარ გაგაცოცხლებდიო. დასდო ყუთზედ ჯვარედინად ორი ხმალი ქალმა და ჭიანჭველები ისევ ყუთში ჩავიდნენ. მისცა ვაჟს და უთხრა, რომ წაიღე და იმ ნათესში გახსენიო. ვაჟმა წაიღო ყუთი, გახსნა ნათესში. ამოვიდნენ ჭიანჭველები და დაუწყეს მარცვალს კრეფა და ზიდვა. გადადო ორმოზე ხმლები ჯვარედინად და ჭინჭველებმა დაუწყეს შიგ მარცვალს ყრა. საღამომდე სულ აკრიფეს ეს. მოვიდა ბებერი, დაჰხედა ორმოს და სთქვა: „ერთი მარცვალი აკლიაო". ‹აქა ვარ, აქა, მომაქესო›, მოისმა ერთის ჭიანჭველას ყვირილი. ხმლისათვის ფეხი შეეჭრა და ველარ დადიოდა ჩქარა, დაკოჭლებულიყო. მოიტანა იმანაც ის ერთად-ერთი მარცვალი და ხელმწიფე ისევ ხელ-ცარიელი დარჩა. მერე ზღვაზედ ხიდის გაკეთება შეუკვეთა. დაიბარა ქალმა ერთს ღამეს მამის სახლიდამ ხუროები და მცურავები. ეცნენ და ერთს წამს გამოჰქიმეს ზღვაზედ მშვენიერი ხიდი. გადის და გამოდის ვაჟი ხიდზედ მეორე დღეს: ხან აქ ასწორებს ფიცრებს, ხან იქ, თითქო იმან გააკეთაო.

დაიბარა ისევ ხელმწიფემ და შეუკვეთა, რომ ერთს ღამეში ისეთი ბაღი უნდა ამიშენო, რომ იქ უდგომელი ხილი არაფერი იყოსო. დაიბარა ქალმა მამის სახლიდამ მებაღეები და ერთს ღამეს ისეთი ბაღი გააშენებინა, რომ იმისთანა აღარსად იყო. „უნდა ამ ბაღში ყველა ჯურის ფრინველი გამიჩინოვო", უბრძანა ხელმწიფემ ვაჟს. დაიბარა ბაყაყის ქალმა სახლიდამ მეფრინველეები და ერთს დღეს სულ იმ ბაღში მოაყვანინა, რაც რამ ფრინველი იშოვებოდა. შევიდა მეორე დღეს ხელმწიფე ბაღში და რა ფრინველს ინატრებდა კაცი, რომ იქ არა ყოფილიყო, იდგა ერთი ჟივილ-ხივილი, სტვენა და გალობა...

რაკი ამით ვერაფერი უყო, დაიბარა ხელმწიფემ ისევ ვაჟი და უთხრა: „თუ წახვალ და საიქიოს რომ დედაჩემმა ბეჭედი წაიღო, იმას მომიტან, შენი ცოლი შენ დაგრჩებაო". წავიდა დაღონებული ვაჟი ცოლთან და შესჩივლა, რომ ხემწიფე ეხლა საიქიოსა მგზავნის, იმის დედას ბეჭედი წაუღია და ის უნდა მოვიტანოვო. ქალმა მისცა ერთი ვაშლი და უთხრა: „ეგ ვაშლი გაგორდება, გაჰყევ შენ უკან და მიგიყვანს იქაო". გაგორდა ვაშლი და გამოუდგა უკან ვაჟიც. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გაათავეს სააქაო და საიქიოს მოეკიდნენ. ერთს ადგილას ვაშლმა ერთს კლდეს გაუარა. კლდეში ერთი ხარი ება, არაფერი წინ არ ედო, არც არაფერი სასმელ-საჭმელი ახლომახლო იყო და ისეთი მსუქანი-კი იყო, რომ სულ ხორცი ასკდებოდა. ვაჟი მივიდა ხართან და ჰკითხა: „ეგ როგორ არის, რომ არც არაფერი წინ გიძევს და არც არაფერი ახლომახლო არის, არაფერსა სჭამ და ეგრე მსუქანი-კი ხარო. რად არის ეგრეო". „ჩამავალი ბევრი მინახავს, უთხრა ხარმა, და ამომავალი-კი ველარავინაო. ჩაიარე და თუ ამოიველი, ყველაფერს მაშინ გიამბობო". იარეს, იარეს, გასცდა ამასაც ვაშლი და გამოვიდნენ ერთს მშვენიერს მინდორზედ. ათას ფერად აყვავებულია, ღვთის თვალი ტრიალებს შიგ. წყალია ცივი და ბალახია, რომ ცხენი ვერ გაატანს. ერთი ხარი აბია, ისეთი მჭლე არის, რომ კაჰკაჰი ვერაფერზე გამოეზიდება. ვაჟი მივიდა იმასთან და გაკვირებით უთხრა: „ეგ როგორ არის, რომ ეს ამისთანა იალალი წინ გიძევს, ეს მშვენიერი ბალახი, მშვენიერი წყალი და ეგეთი მჭლე ხარო?" „ჩამოვლილი ბევრი მინახავს და ამოვლილი-კი არც ერთიო, უპასუხა ხარმა, ჩაიარე და თუ ისევ ამოიველი, მაშინ გიამბობო". გასცდა ვაშლი და წავიდნენ. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, ერთს ადგილს ერთი ცოლ-ქმარი ნახეს. ცულის ტარზე წევანან გადახვეულები და კიდევ ერთმანეთს ეუბნებიან: ‹აქეთ მოწექ, რომ შენთან ყოფნით გავძლეო›. ვაჟს გაუკვირდა, მივიდა იმათთან და ჰკითხა: „ეგ როგორ არის, ერთს ცულის ტარზე სწევხართ და კიდევ ერთმანეთს ეუბნებით, აქეთ მოწეო". „ჩამვლელი ბევრი გვინახავს, ამვლელი კი აღარავინაო", უპასუხეს ცოლ-ქმარმა: „ჩაიარე და თუ ამოიველი, მაშინ გეტყვითო". გასცდა ამათაც და წავიდნენ. იარეს, იარეს და გზაზედ ერთი ცოლ-ქმარი ნახეს. კამბეჩის ტყავზე წევანან და კიდევ ერთმანეთს ეუბნებიან: „იქით მიწექ, მეც ვერ ვეტევიო". ვაჟი მივიდა იმათთანაც და ჰკითხა: „ეგ როგორა ხართ, რა ღვთის რისხვაა, რომ კამეჩის ტყავზე სწევხართ და კიდევ ერთმანეთს ეუბნებით: იქით მიწექ, იქით მიწექიო!" ‹ჩამვლელი ბევრი გვინახავს, ამომვლელი-კი აღარავინაო›, უპასუხეს ცოლ-ქმარმა: „ჩაიარე და თუ კიდევ ამაიარე, მაშინ გეტყვითო". გასცდა ამათაც ვაჟი და წავიდა იარა, იარა და ერთი მღვდელი ნახა. ზურგზედ საყდარი ჰკიდია, უკან მლოცავები დაჰყვებიან, დადის მღვდელი და სადაც მზე ყურს მოჰკრავს, დასდგამს და ლოცულობს. ამასაც ჰკითხა ვაჟმა: „ეგ რა არის, მღვდელო, რომ მაგოდენა საყდარი ზურგზედ გკიდია და სადაც მზე ყურს ამოჰკრავს, მისდიხარ და ლოცულობო?" „ჩავლილი ბევრი მინახავს და ამოვლილი-კი აღარავინაო", უპასუხა მღვდელმა: ‹თუ ამოიველი, მაშინ გიამბობო". გასცდა ვაშლი და გაჰყვა ვაჟიც. იარეს და გზაზედ ერთს კაცს შეხვდა. პირში მატყლი ამოსდის, ამოსდის და არ ილევა. ვაჟმა იმასაცა ჰკითხა: „რად ამოგდის მატყლიო" და იმანაც უპასუხა, რომ ჩამვლელი ბევრი მინახავს და ამომვლელი კი არც ერთიო. თუ ამოიველი, მაშინ გიამბობო. გასცდა ვაჟი და წამოვიდა. იარა, იარა და ერთს კაცს შეხვდა: თოკზედ კვერცხებს აწყობს, აწდებს ზურგზედ, მაგრამ ვერ მიაქვს, ისევ ეშლება. ვაჟმა ამასაცა ჰკითხა, რად აწყობ კვერცხებსაო, მაგრამ არც არაფერი იმან უპასუხა. გასცდა ამასაც და წავიდა. გზაზედ ერთი მარილის ქვად ქცეული კაცი ნახა, გდია, ეხვევა საქონელი და ჰლოკს. იმასაც ჰკითხა და იმანაც ის უპასუხა: ‹ჩაიარე და რომ ამოიველი, მაშინ გიამბობო›. გასცდა ვაჟი ამასაც და ერთს კაცს შეხვდა. დადის, ზურგზედ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროს გაიქცა ტუსაღი ალახპერ-სულეიმან-ოღლი, რომელიც პოლიციის მოხელეთ აველაბარში შეიპყრეს. შეპყრობის დროს ტუსაღმა გამოუცხადა პოლიციის მოხელეთ, რომ შაჰის სანახავად მივდიოდი, მინდოდა მენახა როგორ დაუხვდნენ, და ისევ უკან დავბრუნდებოდიო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „ქართული გრამატიკა (ეთიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან". ამას გარდა წიგნს აწერია ყდაზედ: «გულსავსებით ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს ილია ლაზარეს ძეს ოქრომჭედლიშვილს, მფარველს ქართულის სიტყვიერებისას». წიგნი საკმაოდ ვრცელია და მოზრდილი. თვით ავტორი ამბობს ბოლოში, რომ ხუთი წელიწადი ვიშრომე იმის შედგენაზედაო. როგორც ერთის თვალის გადაკვრით ეტყობა, შიგ ბევრი საინტერესო ცნობა უნდა იყოს მოთავსებული ქართულის ენის კანონებისა და წესის შესახებ. წიგნი ურიგოდ არ არის დაბეჭდილი. სტამბის შეცდომანი-კი ბლომად მოიპოვება. ფასიც დიდი არ აძევს. სულ 173 გვერდია და ღირს თერთმეტი შაური.

*** დღეს მოგვივიდა ქუთაისიდამ მშვენივრად და მეტად კარგს ქაღალდზედ დაბეჭდილი ახალი ქართული წიგნი «ცდა», ანუ სალიტერატურო კრებული, გამოცემული ბ-ნ ალ. გარსევანიშვილის მიერ. კრებულში მოთავსებულია სულ ექვსი წერილი სხვა-და-სხვა ავტორისა: 1) მეფე ერეკლე II, როგორც სარდალი, ისტორიული მონოგრაფია ალ. გარსევანიშვილისა, 2) სვანები ბარად, თავ. სვანისა, 3) ქორწინება, სოციოლოგიური მოხილვა, დ. კ—შვილისა, 4) და-ძმა, მოთხრობა მირამონისა, ფრანგულიდამ ნათარგმნი, პ. ყ—ნისა, 5) პესტალოცის ცხოვრება, თარგმანი თ. მთავრიშვილისა და 6) ქართული ალექსანდრიანი, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა პოლიევკტო ყ—ძესი. თითო წიგნი კრებულისა ღირს ათი შაური.

*** ქართლს ერთი უმეცარი თვალის ექიმი გასჩენია, ვილაც იმერელი, გვარად ბ-ნი ქოლი, რომელიც, ზაფხულის დადგომისათანავე, მოჰყვება და დადის სოფელ-სოფელ თვალით ავადმყოფების ვითომ მოსარჩენად. ამ ცრუ თვალის ექიმს თანაშემწეც: ჰყოლია სოფელ ტირძნისში, ვილაც სოსანა ციმაკურიძე-ჯერ ეს ციმაკურიძე დაივლის ქართლს, შეიტყობს, სად ვინ არის ავად თვალის ტკივილითაო, და მერე დაიბარებს იმერეთიდამ იმ ჯანაოზ თვალის ექიმსაც. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ბ-ნს ქოლის თავის უცოდინარობით ბევრისთვის თვალი გაუფუჭებია. გამბედაობა უმეცარის თვალის ექიმისა იქამდე მიდის, რომ უბრალო იმერულის დანით უცრის კაცს ნატკენს თვალს, მორჩენის მაგიერ აბრმავებს და სამუდამოდ უკარგავს თვალის სინათლეს, ამ დიდს საუნჯეს ადამიანის სიცოცხლეში. ვგონებთ, საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

*** ამას წინად მოხსენებული იყო, რომ ოსეთის სოფელ თლიაში მოჰკლეს ოსი მარლიშვილიო. ეხლა-ხან კიდევ მოჰკლეს ამ მარლიშვილის მკვლელიცა. ამბობენ, სისხლი აიღეს მოკლულის ნათესავებმა ოსურის ჩვეულებისამებრაო. ნამდვილად-კი არავინ იცის, ვინ არის მკვლელი. მკვლელი ტყეში ჩასაფრებია თავისს მსხვერპლს, როცა იმას ძნა თურმე მოჰქონდა, უსროლნია თოფი და იქვე სული გაუფრთხობინებია.

# უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ. „Paris"-ი ამბობს გადაკვრით, რომ ინგლისის მემკვიდრე პრინცი ტყუილად დაეშურა და გაიცნო გენერალი ბულანჟეო. უმაღლესის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ბულანჟე ვერაფერი სახეირო მომუსაიფე კაცია მემკვიდრე პრინცისათვისაო.

— პარიჟში ამ ოთხის წლის წინად შემდგარა საადგილ-მამულო კავშირი, რომელსაც აზრად აქვს განახორციელოს თეორიები ამერიკელის ეკონომისტის ჰენრი ჯორჯისა. ამ საზოგადოებას ანუ კავშირს თავისი საკუთარი გაზეთებიცა აქვს, რომელსაც სახელად ეწოდება „La Terre aux paysans". ამ გაზეთის სახელ-წოდებავე ამტკიცებს, რომ გაზეთი ჰქადაგებს: მიწა მხვნელ-მთესველს უნდა ეკუთვნოდესო.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი-ვენგრიამ შეიგნო, რომ იმისი ჭირი მეტის-მეტი გაძლიერებაა უმაღლესის შუა-გულ მთავრობისა და შეხუთვა თვით-მმართველობისა განაპირა ქვეყნებსა და მრავალ სხვა-და-სხვა ტომს შორის. ასეთმა გაძლიერებამ მთავრობისამა და თავის ხელში ჩაგდებამ მართვის ყველა მავთულისამ ორჯელ წაადინა ცხვირში ძმარი ავსტრიას: ერთხელ 1859 წელს და მეორედ 1866 წ. მაშინ-კი იკადრა ავსტრიამ ცალკე პარლამენტი მიეცა ვენგრიელებისათვის. მასუკან ნელ-ნელა წინ წავიდა თვით-მმართველობის საქმე სხვა-და-სხვა ავსტრიის იმპერიაში მოყოლილ ტომს. 1866 წლიდამვე დიდი უფლებანი მიიღო გალიციამ და დღეს ძალიან წარმატებით მიდის ამავე გზაზე ჩეხიაც. მლადო-ჩეხების გამარჯვებამ უკანასკნელს არჩევანებზედ ხომ უფრო მეტად გააძლიერა ჩეხელები. თვით იმპერატორს ფრანც-იოსებს მეტად ეწყინა ეს გამარჯვება. სტარო ჩეხების მეთაურს რიგერს დღეს მლადო-ჩეხებიც აბრაზიანებენ და ავსტრიელ-გერმანელებიც: ეგრე გინდა, რად მიემხრე არისტოკრატიას, თავადებსა და გრაფებსაო. ეხლა ტყუილად ემდურები მლადო-ჩეხებს, ისინი ისეთს არას ითხოვენ, რაც შენც არ მოგეთხოვნოს ჩეხიისათვის, მაგრამ შენმა ზოზინმა და ნელ-ნელაობამ დაჰლალა და მოჰქანცა მლადო-ჩეხებიო. ჩვენ ხომ არც შენგან და არც მლადო-ჩეხებისაგან კეთილს არ ველით, მაგრამ მლადო-ჩეხები პირდაპირ მაინც ამბობენ, რაც უნდათ, და ჩვენ-კი ისევ პირდაპირი მტერი გვირჩევნიაო. ეს სულ-კი ტააფეს სამინისტროს ბრალია. იმან დასდო წესად ნელ-ნელა შევიწყნაროთ სურვილნი მცირე ტომთა და ერთანიო. ეხლა თუ ამ ტააფეს მოქმედებამ მწარე ნაყოფი მოიტანა, ავსტრიის მთავრობა თავის თავს დაემდუროსო.

# წვრილი ამბები

„Figaro"-ს რედაქციას ედისონის პატივსაცემლად გაუმართავს დღესასწაული, რომელზედაც უმთავრესი და თვალსაჩინო ადგილი ედისონის ფონოგრაფს სჭერია. ედისონის მისვლისთანავე ამ მანქანას ხმა-მაღლად უთქვამს: „გაზ. „Figaro" და მისნი მეგობარნი: მწერლები, არტისტები, მხატვრები და მეცნიერნი უცხადებენ გამოჩენილს ედისონს თავისს პატივისცემასა და თანაგრძნობას. ისინი დიდებულს ამერიკელს გენიოსობის მეფედ ჰსახავენ და ამიტომ ისეთისავე პატივით უხვდებიან, როგორც უხვდებოდნენ სხვა-და-სხვა გვირგვინოსნებს, რომელნიც-კი ჩვენს რედაქციაში ბრძანებულან. გაუმარჯოს ედისონს!" ამ სიტყვის პასუხად ედისონს ჯიბიდგან ამოუღია სანთლის ფირფიტა, ფონოგრაფში ჩაუდვია და იმ ფირფიტას აი რა უთქვამს ამერიკულის კილოთი: „გმადლობ „Figaro"-სა და იმის მეგობრებს, რომელნიც ასე მრავლად დასწრებიან დღევანდელს დღესასწაულს. ამერიკელი გამომგონი, როგორც თქვენ კეთილ ინებეთ გეწოდებინათ, მოხარულია თქვენის მეგობრულის თანაგრძნობით და სამუდამოდ ეხსომება კიდეც ეს თანაგრძნობა. ვაშა „Figaro"-ს!" ამ ვაშასავე ბანი მისცა თურმე ყველამ იქ მყოფმა.

— პრინცესს ვიქტორიას, მეორე ქალიშვილი პრინცის უელსისას, უკვე დაუნიშნავს გოგენლოე-ლანგენბურგის მემკვიდრე პრინცს. პრინცი ერნსტი 1863 წლის სექტემბრის თვეშია დაბადებული და ამ ჟამად პრუსიის ჯარში ჰმსახურობს დრაგუნის რაზმის ლეიტენანტად. ერნსტი ერთად-ერთი შვილია გოგენლოე-ლანგენბურგისა და იმისი დედა ქალიშვილია აწ გარდაცვალებულის პრინცის ლეინინგენისა, ასე რომ ორის მხრით ენათესავება ინგლისის სამეფო სახლს. ამას გარდა იგივეა დეიდაშვილი გერმანიის იმპერატრიცისა. ერნსტის ოჯახი შეძლებული არ არის, მაგრამ თითონ-კი აქვს დიდრონი მამულები ვირტემბერგის სამეფოში და საქსენ-კობურგ-გოტში.

— ქიმიკოსს დ-რს იუნემანს, სიმერინგში, ვენას ახლო, ერთი რაღაც დასაძინებელი წამალი მოუგონია და ეს მოგონილი წარუდგენია სამხედრო მინისტრისათვის. იუნემანი ამბობს, რომ ამ წამალს საშინელი ძალა აქვს და შეუძლიან უგრძნობლად გაჰხადოს ყველა, რაც-კი ჰმოძრაობს, დადის, სცოცხლობს და სულს იბრუნებს. წამალი დიდ-მანძილზედაც არა ჰკარგავს ძალას და 12 ან 15 ყუმბარაში რომ ჩაისხას ცოტა ეს იაფის ფასის წამალი, საკმარისია, რომ 30,000 კაცი დააუძლუროს და ბრძოლისთვის უმქნისი გახხადოს. უგრძნობლად, ამ წამლით ფეხმოკვეთილი კაცი, ორს, ან სამს საათამდე იქნება და ამ დროს განმავლობაში-კი ადვილად შეიძლება მტრის ჯარს იარაღი აჰყაროს და დატყვევდესო. გამომგონელს ეს წამალი იმპერატორისთვის გაუგზავნია და ამბობს: სამხედრო სა-

---

კით მშვენიერი წყაროს წყალი ჰკიდია, იძახის, მწყურიან წყალი, მწყურიან, ვკვდებიო, მაგრამ თითონ-კი ვერ დაულევია. იმასაც ჰკითხა ვაჟმა: „რა არის, წყლიანი კოკა ზურგზედ გკიდია, შენ-კი წყურვილითა ჰკვდები, ეგ როგორ არისო". «ჩამელელი ბევრი მინახავს და ამომლელი-კი აღარავინაო, უპასუხა იმ კაცმა, ჩაიარე და თუ ამოიველი, მაშინ გიამბობო». გასცდა ამასაც ვაჟი და წავიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა, ერთი დედაკაცი ნახა: ისეთს შავს პურს ჩასცხობს, როგორც კუპრი, მაგრამ ისეთს ააყენებს, როგორც ბამბა. „ეგ რად არის, რომ შავს პურს ჩასცხობ და თეთრს-კი ააყენებო?" ჰკითხა ვაჟმა დედაკაცს. „ჩამელელი ბევრი მინახავს და ამომლელი-კი აღარავინაო, უპასუხა დედაკაცმა: ჩაიარე და თუ ამოიველი, მაშინ გიამბობო". გასცდა ამასაც ვაჟი და ერთი დედაკაცი ნახა: თეთრს პურს ჩასცხობს, როგორც ბამბა, მაგრამ ისეთს ააყენებს, როგორც ტალახი, კაცისაგან არ ინახება. „ეგ როგორ არის, რომ თეთრს პურსა ჰცხობ და შავს აყენებო?" ჰკითხა ვაჟმა დედაკაცს. „ჩამელელი ბევრი მინახავს და ამომლელი-კი აღარც ერთიო, უპასუხა იმ დედაკაცმა. წადი, ჩაიარე და თუ ამოიველი, მაშინ გიამბობო". გასცდა ამასაც ვაჟი და ერთი დედაკაცი ნახა, რომ ძუძუებითა ჰკიდია ხეზედ. ვაჟი მივიდა იმასთანაც და ჰკითხა: „რადა ჰკიდიხარ ძუძუებითაო". დედაკაცმაც სხვებსავით პასუხი მისცა. გასცდა ამასაც ვაჟი და ერთს ხევზე გასვლა მოუხდა. ნახა, რომ ხევზედ კაცია გადებული ხიდად და ყველა იმაზედ გადის და გამოდის. «ეგ რა ამბავია შენს თავს, რომ ყველას ხიდად შენ გაუხდიხარო" ჰკითხა ვაჟმა იმ კაცს. ჩამელელი ბევრი მინახავს და ამომლელი-კი აღარც ერთიო, უპასუხა იმან: ჩაიარე და თუ ამოიველი, მაშინ გაიგებო». გასცდა ამასაც ვაჟი და მივიდა იქ, სადაც ხელმწიფის დედა იყო. იკითხა და უჩვენეს, ეს არისო. მივიდა იმასთან ვაჟი და შავეთური სალამი მისცა. მიიპატიჟა ახლოს ხელმწიფის დედამ და უთხრა, რომ ნუ მომეკარები-კიო. მერე გამოჰკითხა: «შე საწყალო, რამ მოგიყვანა ამ ქვეყანაში, აქ რა გესაქმებოდაო". ვაჟი მოუყვა და უამბო დაწვრილებით, რაც გაჭირება გადაჰკიდებოდა ხელმწიფისაგან და ან რადაც იყო გამოგზავნილი. მისცა ხელმწიფის დედამ ბეჭედი და უთხრა: „წადი და ჩემს შვილს ეგრე უთხარ, რადგან აქაც არ მასვენებ და მაწუხებ, შენამც ჰქცეულხარ კურდღლად, შენი ბებერი მწევრად, შენი ნაზირ-ვეზირი მგლებად და ერთმანეთიმც დაგიჭამიათო".

წამოიღო ბეჭედი და წამოვიდა. გზაზედ კაც-ხიდაზედ გამოიარა. იმან უთხრა: «მე იმ ქვეყანაში ყველას ვერჩოდი და ფეხითა ვთელავდი, დიდი არ ვიცოდი პატარა, ქვრივი, ობოლი, ჩემთვის სულ ერთი იყო, და ეხლა ჩემზე დადიანო». გასცდა ამას ვაჟი და მოვიდა, დედაკაცი რომ ძუძუებით ეკიდა, იმასთან. იმან უთხრა: „ობლების დამყრელი ვარიო". გასცდა ამასაც და მივიდა იმ დედაკაცთან, თეთრს პურს რომ აცხობდა და შავს-კი აყენებდა. იმან უთხრა: „მე იმ ქვეყანაში ყველაფერი მეულაბალი მქონდა, პურიც, სარჩოც, მაგრამ საწყალს და ბეჩავს-კი ერთხელაც ვერ ვაჭამე პური, ერთხელ მგზავრისათვის საგძალი არ ჩამიდვიაო". გასცდა ამასაც ვაჟი და მოვიდა იმ დედაკაცთან, შავს პურს რომ აცხობდა და თეთრს-კი აყენებდა. იმან უთხრა: «იმ ქვეყანაში, მართალია, არაფერი მქონდა, ხშირად ქერის პურიც არა მქონია, მაგრამ ბეჩავს-კი კიდევ ვაჭმევდიო. მგზავრს ჩაუდებდი საგძალს, და მშიერს გავაძღობდიო. ეხლა ღმერთი ესე მიხდისო".

გაიარა ვაჟმა და შეჰხვდა იმ კაცს, ვისაც ზურგზედ წყალი ეკიდა და წყურვილით-კი კვდებოდა. იმან უთხრა: «ჩემის სახლის ახლოს წყარო იყო, არავის ვასმევდი და აქ ასე მომივიდაო. გასცდა იმასაც და მივიდა იმ კაცთან, რომ კვერცხებს თოკზედ იწყობდა. იმან უთხრა: „იმ ქვეყანაში კვერცხებს ვიპარავდი, ეხლა თოკზე ვაწყობ, მაჩქარებენ, უნდა მიუტანო და ვერ მიმიტანიაო". გასცდა ამასაც და მარილის ქვად-ქცეულს კაცს შეჰხვდა. იმან უთხრა: «იქ საქონელს მარილს არ ვაჭმევდი, სულ უმარილო დამიდიოდა და ეხლა ხომ ჰხედავ, მარილადა ვარ ქცეული და საქონელი მეხვევა და მლოკავსო». იმასაც რომ გასცდა, იმ კაცთან მივიდა, ყელში რომ მატყლი ამოსდიოდა. იმან უთხრა: „მე მწყემსი ვიყავ, ცხვრის პატრონს ვღალატობდი, მატყლსა ვპარავდი და ეხლა ყელში ამომდის, მინდა მიუტანო, მაგრამ ვერ მიმიტანიაო". ამას რომ გამოსცდა ვაჟი, მღვდელთან მოვიდა. მღვდელმა უთხრა: «მე იმ სოფელში მლოცველებს არ უსრულებდი რიგსა და წესს. მე რომ მოსანათლი ან საზიარები მყოლიყო ვინმე, იმათ არ უყურებდი და სადაც კარგი რიგი და ქორწილი იყო, იქ მივრბოდი. ლოცვაზე მზის ამოსვლამდის არ წავიდოდი და ეხლა-კი ყველას უნდა უწირო და ულოცო. სადაც მზე ყურს მოჰკრავს, იქ უნდა წავიდო საყდარი და იქ დავდგე ლოცვადაო". ამას რომ გასცდა, კამეჩის ტყავზე რომ ცოლ-ქმარი იწვნენ, იქ მივიდა. „ჩვენ წუთი-სოფელშიაცა გვძულდა ერთმანეთი და აქაც გვძულს, მაგრამ ვერ მოვშორებივართ ერთმანეთსაო. ამათ რომ გასცდა, ცულის ტარზედ რომ ცოლ-ქმარნი იწვნენ, იმათთან მოვიდა. იმათ უთხრეს: „ჩვენ წუთი-სოფელშიაც გვიყვარდა ერთმანეთი და აქაც გვიყვარსო". გასცდა ვაჟი და წავიდა. გზაზედ მკლე ხარს შეხვდა. იმან უთხრა: „მე საწუთროს ქვეყანაში პატრონს არაფერს არ ვუკეთებდი. კალოში არ ვარგოდი და უღელში ხარსა ვღალატობდი. ეხლა სასმელიც ბევრი მაქვს, საჭმელიც, მაგრამ ვერცა ვსვამ, ვერცა ვსჭამ და ესეთი მკლე ვარო". ამასაც გასცდა ვაჟი და მივიდა იმ ხართან, კლდეში რომ ება, არც არაფერი წინ ედო, არც არაფერი ახლოს ჰქონდა და სიმსუქნით ხორცი ასკდებოდა. იმან უთხრა: „მე ჩემი პატრონი კარგად მექცეოდა, კარგად მივლიდა, მეც უღელში ხარს არ ვღალატობდი, და აი აქ არაფერსა ვსვამ, არაფერსა ვსჭამ და ესე მსუქანი-კი ვარო". გამოსცდა ამ ხარსაც ვაჟი და მოვიდა სააქაოს. მივიდა ხელმწიფესთან, მიუტანა ბეჭედი და უთხრა: „დედამ დაგიბარა, რადგანაც შენ აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც ჰქცეულხარ კურდღლად, შენი ბებერი მწევრად, შენი ნაზირ-ვეზირი მგლებად და ერთმანეთიმც დაგიჭამიათო". ასრულდა ვაჟის სიტყვები: იქცა ხელმწიფე კურდღლად, ბებერი მწევრად, ნაზირ-ვეზირნი მგლებად და დაჭამეს ერთმანეთი. წამოვიდა ვაჟი ცოლთან, გახდა თითონ ხელმწიფედ და თავის ცოლიც თითონ დარჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა...
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს—ცხონებითა.
ელასა, მელასა,
შაქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსა და გამგონელსა,
ჯვარი გვეწეროს ყველასა.
ჩიტი გაფრინდა ცხრა-ფრთანი...
ასი ტყუილი, ერთი მართალი...

მინისტრომ ბრძანება მიიღო, რომ სცადოს და გასინჯოს ეს წამალიო.

— ამ ქვეყნად ახალი არაფერია. ასე წარმოიდგინეთ, რომ ვითომ-და ამას წინად გამოგონილი, თოფის წამალიც-კი, რომელსაც ხმა სულ არა აქვს, დიდი ხნის ამბავი ყოფილა. ბენვენუტო ჩელიინი, რომელიც XVI საუკუნეში სცხოვრობდა, თავისის ავტობიოგრაფიის მესამე წიგნში ამბობს, რომ ფერარში ციებით ავად გავხდი, ფარშევანგის ხორცით ვწამლობდი ჩემს თავს, და ფარშევანგებს ვხოცავდი იმ ჩემ მიერ გამოგონილის თოფის წამლით, რომელსაც „ხმა სული არა აქვსო“.

# დეპეშა

## 24 აგვისტო

პეტერბურგი. როცა აკურთხეს ეკლესია იქ, სადაც ხელმწიფე იმპერატორის ვაგონი დაიმსხვრა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა და გზათა მინისტრმა ბორკის სადგურიდამ დეპეშა გაუგზავნეს მის უდიდებულესობას. ამ დეპეშაზე შემდეგი მოწყალე პასუხი მოუვიდათ ფრედენსბორგიდამ: „გულითა და სულითა გმადლობთ დეპეშით მოლოცვისათვის. ბედნიერნი ვართ, რა-კი გავიგეთ, რომ ეკლესია მზად არის იქ, სადაც ჩვენ გადავრჩით. დიდად გმადლობთ ყველას“. «ალექსანდრე».

ფრედენსბორგშია სტუმრად აგრეთვე ქვრივი იმპერატრიცა გერმანიისა ვიქტორია თავის ქალით სოფიოთი, საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი დანიშნულით, ხოლო მეფე ქრისტიანეს დაბადების დღისთვის ელიან შვეციის მეფის სტუმრობასაც მემკვიდრე პრინცითურთ. ამ დღესასწაულისათვის სულ 30 უავგუსტოესი სტუმარი მოიყრის თავს.

დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული უკეთ არის. ძალ-ღონე, როგორცა სჩანს, თანდათან ემატება.

პეტერგოფს მყოფნი დიდნი მთავარნი ალექსი და სერგი ალექსანდრეს ძენი გუშინ საღამოს წავიდნენ მოსკოვს. დიდ მთავარ სერგეისთან წავიდა მისი მეუღლეც.

პარიჟი. პოლიციის სასამართლომ გადუწყვიტა ბულანჟეს მომხრე გაზეთის „Cocarde“-ს უფროსს რედაქტორს შერმეიქს ოთხის თვით ციხეში დაპატიმრება და ჯარიმა ფულად 500 ფრანკი. ეს სასჯელი გადუწყვიტა სასამართლომ რედაქტორს იმიტომ, რომ მონაწილეობა მიუღია უმაღლესის სასამართლოს საქმეების მოპარვაში სტამბიდამ და უბეჭდია ეს საქმე გაზეთში, ვიდრე სასამართლო გაარჩევდა ბულანჟეს, დილიონისა და როშფორის ბრალს.

„Temps“-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა პრეფექტებს: ნუ მიიღებთ ბულანჟეს, როშფორისა და დილიონისაგან ნურავითარს განცხადებას, რომ ვითომ ჰსურთ თავისი კანდიდატობა გამოაცხადონ წინამდებარე საპარლამენტო არჩევანებისთვის. მიზეზი ამისი ის არის, რომ იმათ ფორმალურად ჩამოერთვათ სამოქალაქო უფლებანი და ამიტომ, კანონის ძალით, ვერ გამოვლენ კანდიდატებადაო.

## 25 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულია კანონები საპოლიციო გამგეობათა საქალაქო და სამაზრო პრისუტსტვიების გაუქმების თაობაზე და აგრეთვე სასამართლოს მოსპობაზე დერპტის უნივერსიტეტში.

პეტერბურგი. უწმ. სინოდმა მიჰმართა საეპარქიო უსამღვდელოესობათ, რომ შეგვატყობინეთ არსებობს თუ არა სიფხიზლის საზოგადოებანი და თუ არსებობს, რა მოქმედება იქონიეს ხალხის სარწმუნოებრივსა და ზნეობრივს მდგომარეობაზეო; ჰხელმძღვანელობენ თუ არა ეკკლესიათა სამზრუნველონი, ძმობანი და საეკკლესიო საბჭონი სასმელებით ვაჭრობის წესდების მე-45 მუხლით და რა იმოქმედეს ამ მხრივ და ან რა ღონე შეუძლიან იხმაროს სასულიერო უწყებამ, რომ ზემოხსენებულნი დაწესებულებანი უფრო გაამხნევოს და სასტიკად ამოქმედოს სიმთვრალის წინაალმდეგაო.

რიგა. დვინის გაზეთი გვაუწყებს, რომ რადგან 1885 წლის 14 სექტემბრის კანონით ქალაქის გამგეობებში რუსული ენა უნდა იხმარებოდეს უეჭველად, ამიტომ იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სამართალში მიიცემა რიგის ლანდმერიხტი, რადგან ამ კანონს არ ასრულებსო.

ვენა. აქაურს სადიპლომატო წრეებში ლაპარაკობენ პრინცის კობურგელის შეიარაღების გამო, რომლის მიზეზიც არავინ იცის.

კოპენჰაგენი. მემკვიდრე ცესარევიჩი მიდის გნავერს ალღუმებზე დასასწრებლად და იქიდგან ფრენდესბორგში დაბრუნდება.

პეკინი. „რეიტერის სააგენტოში“ გამოცხადებულია საიმპერატორო ბრძანება, რომ პეკინსა და ხანკაუს შუა რკინის გზის გაყვანა ნებადართულიაო. განკარგულებაა აგრეთვე მოხდენილი, რომ მუშაობა დაიწყონ.

## 26 აგვისტო

კოპენჰაგენი. აქ მოვიდა უნცროსი ქალი მეფის ქრისტიანესი ჰერცოგინია ტირა კუმბერლენისა, რომელიც, ავადმყოფობის გამო, დიდი ხანია, სამშობლოში არა ყოფილა. ჰერცოგინიას მიეგებნენ ზღვის პირას ყველა მისი უავგუსტოესნი ნათესავნი.

ბაქო. იმიერ-კასპიის რკინის გზის გამგებელი გენერალი ანენკოვი დაუბრუნდა თავის თანამდებობის აღსრულებას და წავიდა უზუნ-ადას.

პარიჟი. ბულანჟეს მიუწერია წიგნი მთავარ-მინისტრ ტირარისათვის და უთხოვნია, რომ სამხედრო საბჭოს სამართალში მიმეცითო. თავს ვიდებ გამოვცხადდე დაუყოვნებლივ, შესდგება თუ არა სასამართლოვო. ბულანჟე დასძენს ბოლოს, რომ თუ უარი შემომითვალეთ, მაგ უარს ისე მივიღებ, რომ ვიტყვი, საფრანგეთის მთავრობის დიდ-კაცობა უფრთხის და ერიდება სამხედრო სასამართლოს მიუდგომლობასა და მიუკერძოებლობასამეთქი და მაშინ საქმეს წარვუდგენ განსასჯელად უმაღლესს სასამართლოს, რომელიც თავის გარდაწყვეტილებას 10 სექტემბერს გამოაცხადებს საპარლამენტო არჩევანებზე.

ვენა. იმპერატორი ფრანც-იოსების მთავარ-სადგომიდგამ იუწყებიან, რომ იაროსლავის ქალაქის ახლოს ვილაცანი დაეცნენ თავს ორს ავსტრიელს აფიცერს და დაჩეხეს მათისავე ხმლებითაო. ორივენი პორუჩიკების ჩინისანი იყვნენ. ერთი გარდაიცვალა კიდეც და მეორეც სიკვდილის პირას არისო.

ლონდონი. რაკი ერთმა წილმა მუშებისამ დაიწყო კვლავ მუშაობა, სახელდობრ, იმათ, რომელნიც პურსა სცლიან გემებიდამ, პურის ბაზარიც გამოცოცხლდა, თუმცა-კი მაზანდა პურისა ჯერ კიდევ არ გამორკვეულა რიგიანადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მარიამობ.

| | მიცემულია. | გამყიდველნია. | მყიდველნია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 62½ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის ხესხის მომგები ბილეთი . . . . . | 263¾ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 83½ | — „ | — „ |

# განცხადებანი


## სასწავლებელი

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავხსენი ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლებისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. ბავშვებს მივიღებთ უეგზამენოდ ოც სექტემბრამდე.

იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

ახალი წიგნი

„მიბაძვა ქრისტესი“

თხზ. თომა კემპელისა

იყიდება ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჰილაძეებისა და ძმ. წერეთლების მაღაზიებში, ბათუმში—მოსე ნათაძესთან, გორში—არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში, ცხინვალში—ქეთევან ქურულისას, ახალციხეს—მღვდელ გვარამაძესთან, ხონში—ძმ. წერეთლების მაღაზიაში.

ფასი წიგნისა ყდითა და ორის სურათით—70 კაპ., უყდოდ და უსურათოდ 40—კაპ.

საწყობი წიგნისა გორშია, არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში. (5—2)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა სასხვარიშო ჩოთკით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—8)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაური, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—24)

№4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული

ო-დე-კოლონი,

სურნელოვანი წყლები,

სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,

გლიცერინის საპონი,

კანის დასარბილებელი საშუალებანი,

კბილის ტკივილის წამალნი,

პუდრა,

თმის ზეთი, პომადა,

ტუალეტის წყალი

და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნული

საფაბრიკო №4711. მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში იყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. პალცერეიტთან. (10—7)

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

## ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ სალმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ სალმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.


Доз. ценз. Тифлисъ 26-го Августа. 1889 года. სტამბა გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე